

Г 2-11  
3-201

Երկրի Զրկման

К 22149  
1



821.353.1-32

8 201

Երևանի Հրատվեստ

~~K 21232~~

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ

K 22149



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԿ  
ԿԵՆՏՐՈՆ

201

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ  
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ  
1970



12  
12-11  
6-231

მეტეფანი შწერლის ნესტორ მაღაზინის მოთხრობა  
ასახეს გლეხობის მფლობელობის რეკონსტრუქციულ  
ქართულ სოფელში და საბჭოთა ხელისუფლების პირ-  
ველ დღეებს.



## ქმეზი

— რა კარგი ეზო აქვს ყარამანას! — ახალმოყვანილობისას ათინომ სიტყვა ჩამოუვდო სიკოიის, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოეხსნა ყარამანის ქაშარ-ხანჯალი. — კაცი ვარო სწორედ იმას ეთქმის.

უმცროსმა ძმამ ძლიერ იწყინა უფროსის ასე კარგად ხსენება, ისიც ახალშერთული ცოლისაგან.

— მამა ნუ წამიწყდება, კიდევ არ მიხსენო ყარამანის კაცობა, თვარა თავს წაეჭრი იმ მამაძალს! — და სატევარის ველას ორივე ხელი წაატანა.

— კაცო, ეზო აქვს-მეთქი, თვარა ისე... ყარამანის არჩივი ღომი შეჭამა შაგმა ძაღლმა, — წყენით თქვა ათინომ. — შენ გაგიხარდებოდა მეგონა და...

— რა გაგიხარდება, ქალო? — და სიკოიიმ ხმას დაუწია. — მაგი მე ყოველთვის მჩაგრავდა და ახლაც ჩემი მტერია.

— მაინც არ ვიცი, ძმამ რაფერ უნდა დაჩაგროს ძმა... ძმაი მეც კი მყავდა, ვეწაცვილე იმას, მარა სიცოცხლეს მიბრუნებოდა.

— შენ არ იცი, შენ ჯერ პალანაი ხარ, გამოუცდელი, მალე ყველაფერს მიხვდება. ჯერ ერთი, რა უფროსია მაგი! ჩვენ ტყუპები ვართ. ერთი-ორი მინუთით ადრე იგი სასიცვდილე დაბა-



დებულა (რატომ არ გასწრო იმას დედაჩემმა.) მერე მე დამი-  
ნახავს ცის სინათლე. რაცღა ორი მინუთით მომასწრო დაბა-  
დება. ორი მინუთით! პოდა, ვადამჭამა თავი უფროსი ვარო.  
მარტო მან კი არა, მთელმა ქვეყანამ, მთელმა სოფელმა, ყვე-  
ლა ნათესავმა. მარა იგი მიწაგასახეთქი დაბადებამდეც მტყ-  
რი იყო. თურმე ორი ჩემხელა შობილა. ალბათ, ჩემ არჩივ  
საჭმელსაც მაი მამაძაღლი ჭამდა. მერე იყო და თურმე ორი-  
ვე ძუძუს თვითონ გამოწრუბავდა, მე ახლოსაც არ ვამაკარებ-  
და. ვტიროდი თურმე, ვტიროდი. მაგი კი იცინოდა, იყრიჭე-  
ბოდა და ალუ-ალუს იძახოდა, როცა წამოიზარდა, ტანადობა-  
შიც გამასწრო.

— თუ შენს არჩივს ჭამდა, გაგასწრებდა აბა რაი!.. —  
ძლივს თქვა ათინომ.

— მერე შეფურნეს მიიბარეს. იქ პურის ცხოზა და ჭა-  
მა ისწავლა... და, ჩემდა საუბედუროდ, ორი ანბანიც. ქალაქ-  
ში ცხოვრობდა მამის სიყვდილამდე. მერე დიდკაცურად ჩა-  
მოვიდა. რუსული შარვალი და ტუდი ჰქონდა. ვავრივლით, პი-  
რველი ფარდი მე მერგებოდა — იგიც მან წვილო... და ახლა  
ქვა მისდა, ლამაზად...

— პირველი ფარდი არ უნდა მიგეცა. მედიატორე ხომ  
გყავდა!

— ყველა მისი კაცი იყო და მე ვინ შემბედავდა... პოდა,  
ყოლიფერი ასე იყო, ჩემო ცოლო ბატონო. მერე, რომ წამევი-  
ზარდე და ჭკუაში ჩავხდი, ჭამას ქე მოუემატე და სიგრძეშიც  
გევიზარდე. მარა ნაკოდინევი რომ ვიყავი, ხორცი ველარ შე-  
ყიბი. მერე სულ გატანჯული ვიყავი... სასწელი წყალიც მე უნ-  
და მომეტანა, თვარა სიდილს არ მომცემდნენ... ყარამან-ბატო-  
ნი იჯდა და ილუკებოდა. ცხელი კვერი იმას, ცივი მჭადი ან

ლოში — მე, იმას გამს გაუფსებდნენ, მე კი ერთ-ორ კოვზ ლობოს დამიკინკილებდნენ... ასე გაიზრდება მაღანაი!

— სად ვიყავი მე სასიკვდილე მაშინ! შევიპარაედი და მაინც გაჭუმდი...

შენც ერთი... ზღაპარს მიზივი. ანლოს რომ ყოფილიყავი, შენც ყარამანას გაძლებდი... იგი არა, ანლაც მის კაცობაზე მელაპარაკები... — საყუდურით უთბრა ცოლს განაწყენებულმა სიკოიამ. — ჰო, იმას ეჩიოდი... უფროსი ვარო და ცოლი უწინ შეირთო, მე დამავლახეს თჯანში მუშაობით. მერე კიდევ, გრიშა-რუსი რომ იყო, ფერშალი, იმას ეთქვა, ტყუპი ბიჭები თრივე არ გეიზრდებაო... მარა თუ თრივე გეიზარდა, ერთი მაინც ნაკლები იქნებოდაო... ფერშალმა ხომ ყველაფერი იცის... ჰოდა, აი ნაკლები მე გამოვედი... ასე მიყურებდა ყველა... თვარა სივრძე მაკლია თუ განი! მართალია, მჭლედ ვარ, მარა მსუქანი ღორია კაი. კაცი ხომ სახორცედ არ გამოდგება... ჰოდა, მაშენ არც სიმჭლევე ყოფილა გლახა... გვიგე ხეში თუ არა?

— არც იმდენი მჭლევი გქვია, ჩემო სიკოიავ. — უფრო აღერსიანად თქვა ათინომ, რომ წახანდელი წყენინება გამოეყვიდა და ეს დაზაგრული კაცი ენუგეშებია. — საშინლად შეზარება, როცა კაცი ზორზოხია და დათვივით დაბაჯბაჯებს.

— ჰოდა, შენ ავამენა ღმერთმა, — გამხიარულდა სიკოია.

— მე თუ შეიძახე, კაცი წელწვრილი, მაღალი და პირხმელი უნდა იყოს...

— აგი ქე ვარ მე, არა? — სიტყვა წაართვა ქმარმა.

— ცოლზე ცოტათი მაღალი...

— სწორედ ასე არ ვარ მე? — ბავშვივით აკროჭინდა სიკოია. — აბა, დამეზომე ერთი, თუ გინდა.

ათინომ თრი ნაბიჯი წადვა წინ და ქმრის პირდაპირ ვა-  
ჩერდა.

— მოიწი აქეთ პო, ახლოს მოიწი, ნუ გეშინია, არ შეგ-  
ქამ, ქალო, — შეეგულთანა ცოლი სიკოიამ. მაგრამ როცა იგი  
ახლოს აღარ მივიდა, ქმარმა მკლავში ჩაავლო ხელი და მიი-  
ხლოვა. — აბი, დამეზომე...

ათინოში ქალმა გაიღვიძა, როდესაც ქმარს მიეზომა და  
მკერდზე მიეკრა. სიკოიასაც აღნიჭვა გაუხშირდა და მარჯვე-  
ნა ყურზე აკოცა.

— რა დროის შავია, კაცო! — თითქოს გაუჩავრდა ათინო  
ქმარს, მაგრამ თვითონაც კოცნით უპასუხა.

— მთელი ერთი მტკაველით შადლი ხარ, სიკოიაც, მთე-  
ლი მტკაველით — აგი ახლა მეც აღარ მეგონა... მარა ასე შა-  
ღალად რომ არ გამოიყურები?... აბი, ასე ენახოთ, — თქვა  
ცოლმა და ახლა გვერდით დაეზომა. — კი, ბატონო, კი...  
მთელი მტკაველით...

— შამა ნუ წამიწყდება, ნეც ძლიან მოეიბრს... ყარამანა  
არ იქნება ჩემი სიმაღლე, — ამხედ თქვა სიკოიამ, მოკლე,  
თხელ უღვანებზე მარჯვენა ხელის ცერი და საღოტი თით  
გადაიხვა, მერე ორივე თითით ზევით ასწია და აწკიპა.

— არა, ყარამანა კი იქნება შენზე მაღალი... მარა ზედ-  
მეტე სიმაღლე კაცს აუგებს, შნოს უკარგავს. — დამრიგებ-  
ლური ტონით თქვა ათინომ.

სწორედ ამ დროს დაიხატა უმცროსმა რძალმა, რომ ყა-  
რამანის ცოლი ფოსინე თავის ეზოში იდგა ღობის ახლოს, ცა-  
ლი ხელი მოხერხებულად აეჯარებია სახეზე და რძალ-მაზლს  
უთვალთვალებდა.

— აქეთ ხომ არ იძახოდი, რძალო? — გაეხმიანა ათინო,



რომ ხელი შეეშალა და ეგრძნობინებია, მივიხვდი ჩასაც სხადიხარო, და ორი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— არა, რძალი, ხბო ვამებნა და შენს ეზოში ვიყურებოდი, ხომ არ გადმოვიღიანეთი, — და ოდისაკენ მიბრუნდა.

— ხბოს გადაღმა ხომ არ მიდენის ან იმხელა ეზო სათა აქვს, რომ შიგ ხბო დაეზნას... მარა უსვინდისოა, უსვინდისო! — ჩაილაპარაკა ათინომ.

— რა ხბოი და სიკვდილი გაუჩნდა ახლა მაგ ოხერს! — უკმაყოფილოდ თქვა სიკოთამ, — შენ უნდა ნახო, რაფერ ქორებს დაქრის ახლა სოფელში მაგი ვათაპირებული დედაკაცო... მაინც რა ღმერთი გაგვიწყრა, ქალო, პა?

— რა ვიცი, ვაცო, რაცხა ატყდებო... ახირებული კაცი ხარ, სიკოთავ, ახირებული, არც ზომა იცი, არც ადგილი... მარა თქვას, რაცხას იტყვის... ცოლ-ქმარი ვართ, მადლობა ღმერთს... აი ქალები და კაცები სხვებს და სხვებს კოცნიან...

და მართლაც, მეორე დღესვე სოფელში ყველგან ლაზდანდარობდნენ, თუ როგორ კოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს სიკოთა და ათინო შეადღესე, შუა ეზოში.

## ნ ა ზ ა რ დ ა ი

სიკოთას, რაც იგი ძნას გამოეყო, ეზო არ შენოულობავს. ყველი ღობიდან კი ნაკვალევაც არ დარჩენილა.

ამ განლილ ეზოს წინ სასოფლო შარა ჩაუვლიდა, ორო მაროე—ნარჯენივ და უკან—აზნაურის მიწები აკრავდა. მარცხნივ უფროსი, შეიღებული ძმა ყარამანი იდგა და საგულდაგულოდ შეღობილი ეზო ჰქონდა.



— შენც შემოდობე, კაცო. ძმას მაინც წაბაძე... — ხშირად ეტყოდა მეუღლე ათინო.

— თუ ღმერთს ჩემი სიკეთე სდომებოდა, მამამ შექერიო შედობილი დამიტოვა.

— იგი დალბა, კაცო, დალბა. ყოველთვის ხომ არ იფარგებდა!

— ახლა რომ გავლობავ, იგი არ დაღუბება თუ? — გამარჯვებულის კილოთი უბასუბა სიკოიამ და სამუდამოდ შეწყვიტა ამაზე ლაპარაკი.

და ბოლოს ცოლი შეეჩვია გაშლილ ეზოსაც და ქმრის უაზრო პასუხსაც.

ამ ერთ გაბტომა და მოუფლელ ეზოს ასევე მოუვლელი სხედასხეა ხეხილი შემორჩენოდა. ზოგ ხეს წვერი წაბმობოდა და უფოთლოდ ქაჩალივით გამოიყურებოდა, ზოგის ფულუროში ბზიკი და ბაზი დაბუდებულიყო... და მაინც სწორედ ეს ხეხილი იყო ოჯახის სიმდიდრე და ნუგეში. ჯერ პარწყუი და ბალი შემოვიდოდა, მერე წყავი, ატამი, ქლიავი, ვაშლი. მსხალი... რაც უნდა უმთხავლო წელიწადი ყოფილიყო, ოჯახს მინც შეეძლო სულის გატანა. ზოგსაც დაეხმარებოდნენ მადლიანი ადამიანები.

ბეოლებიც იყო ეზოში. გაზაფხულზე ესეც შემოსავალს იძლეოდა. მეაბრეშუმე მეზობლები ყიდულობდნენ. მაგრამ ერთი ძირი ბეოლი არ იყიდებოდა. სიკო მას ვერ ელუოდა. ისეთ მსხვილ და თაფლივით ტკბილ თუთას იძლეოდა ეს დალოცვილი ხე, რომ სიკოიას მისი დიდი იმედი ჰქონდა.

— როდის დამწიფდება აგი დალოცვილი! მაგის ძირს და ფესვებს ვენაცვალე მე... — ხამთრიდანვე ეფერებოდა და

ოცნებობდა სიკოია, სწორედ ისე, როგორც ღარიბი დიასახლისი მიუძღვრს ფურს დახმობიანების მოლოდინში.

ბოლოს ეს ოცნებაც აბდებოდა ქოველ წელიწადს.

მწიფობა დაიწყებოდა თუ არა, სიკოია გამოიტანდა ცოლის ნამზითვეს, ზრჩილისაგან დაჭმულ ნახს, წამოგორდებოდა ზედ ან წამოჯდებოდა და ჩრდილის კვალდაკვალ უნაცვლებდა ნახს დაღამებამდე. ასე ყოველდღე აკეთებდა ნახევარ წრეს ბეოლის გარშემო და გემრიელ თუთას შეეძებოდა. ან რა შეუძლიდა ხელს! ხარ-კამეჩი არ ჰყავდა, ცხენი და ქათამი.

მაგრამ ახლა უსაკოლოც არ ქვიოდა. ექვსი-შვიდი თვის წინათ ნათლიამ აჩუქა სიკოიას უმცროს გოგა! გოჭი. წამოიზარდა, თითქოს დამოუკიდებლად იზრდებოდა. დილას ადრე მდითდა ტყეში და ხელამომდე იქ ძოვდა. მერე გამძღარი ბრუნდებოდა და საღორეში თავისითვე შევიდოდა მოსასვენებლად. ხოლო თუ ამ წესს დაარღვევდა და გარეთ დაწყებოდა, სიკოია მოაკითხავდა, შეუკურთხებდა მასაც და მის მომყვან-მჩუგნელსაც. გადენიდა ბუზუნით და მამის დანატოვებ საზღრაეგად-ცლილ, წაფრდებულ საღორენი დაამწყვდევდა.

ერთ დღეს სიკოია ჩვეულებრივად იჯდა ბეოლის ძირში და მოჩხუბარი მამალივით კისერწავრძელებული უცდიდა თუთის ჩამთვარდნას. ჩამოვარდებოდა თუ არა, აუნჯარებლად გაიწვდიდა ხელს, ფრთხილად აიღებდა, სულს შეუბერავდა და ძირში იკრავდა.

ზაფხულის დღე უკვე ორსაშ საათში მზეს ზღვაში ჩააგორებდა. სიკოიას კი ჯერ კიდევ ვერ დაეძლია შიმშილი და კმაყოფილებით შეხედა სიოს, რომელიც ტოტებს უტევდა და თუთის ცვენასაც აბშირებდა.

სად იყო, სად არა — ერთი თეთრი ნაზარდი გაჩნდა ეზოში ალბათ, მოშივდა, იგი სრულიად უბოდიშოდ მივიდა ნობთან და შეუჭრებლავ ეპყერა ახალჩამოვარდნილ თუთას, სიკოიას წავრძელებული კისერი და გაწედილი ხელი გაწბილებულა აღმოჩნდა, ღორძი შეორე თუთასთანაც მოასწრო.

— მაგი უბატრონო ნამდვილად ყარამანისაა, ისე უბრტბროდ ნავარდობს ამ ჩემ ეზოში და ჩემ ხალზე, — ჩაილაპარაკა სიკოიამ.

რა თქმა უნდა, ამ შენიშვნას არაერთი ვივლენა არ მოუხდენია ღორძის განწყობილებაზე, ერთი ორჯერ წამოწოლილ სიკოსაც გადააღაჯა და გზა შეიმოკლა, აბა, ღორძი მორიდების რა იცის!

სიკოია საგონებელში ჩავარდა.

— მაგი დაღებული და გაოხრებული სამველს არ მომკვმს!

რასაკვირველია, ღორძს არც ამისათვის მიუქცევია ყურადღება, იგი კვლავ დაქროდა გამშაგებით, ბშირად, მიწაზე და ვარდნასაც არ იცლიდა, ჰერშივე იჭერდა თუთას, ბოლოს ისე დაოსტატდა, რომ სიკოია მხოლოდ ნერწყვს ყლაპავდა...

— ღორძო, შენ სამგლევეს... გამშორდი მეთქი... ღორძს არც კი მიუხედავს სიკოსაკენ, ყურადღება დაძაბა, რომ ჰერში შენიშნოს გემრიელი ხელი.

— ღორძო, შენ სამგლევეს... მამა ნუ წამწყდება, იმისთანა საქმეს ვიზამ, რომე...

სიტყვა აღარ დაასრულა ვადიცებულმა სიკოიამ, მაგრამ თუნდაც დაესრულებია... ღორძს აქამდეც არ გაუგია და ვერც ახლი გაიგებდა, და იგი, თითქოს სრულიად სამართლიანად დარწმუნებული, რომ თუთაზე ორივეს თანაბარი უფლება



ჰქონდა, მაღიანად განაგრძობდა ჭიშკა და მოწონების ღრუ-  
ტუნს.

ჰოდა, როცა ღორნა ერთი მსუქანი თუთია თითქმის ხელი-  
დან გამოაყალა, სიკოთა ვაგიჟდა.

— არ გიყურება ჩემი, ხომ? აბა, ენახოთ რა დავმართო!  
— თქვა სიკოთამ და ცოფმორეული დისწვდა ნიზრდილ ქვას  
და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღორს ესროლა.

ცხოველს ქვა კეფანში მოხვდა, წამსვე წიქცა და მხოლოდ  
სანჭერ მოასწრო ფეხების გაქნევია... ნოკვდა, „ასე გინდა“  
ნიშნის მოგებით დააყოლა სიკოთამ... მაგრამ სულ მალე გუნყე-  
ბა ეცვალა.

— რა მოუვიდა ახლა ამ პატრონიადღეს! — ვაბზარული  
ხმით წარმოსთქვა სიკოთამ და ღორს მიაშტერა გაფართოებუ-  
ლი თვალები. ცოტაც აყალა და მეორე, მომცრო გვა ესროლა:  
თუ ცოცხალია, გაინარევა მაინც... მაგრამ თქვენც არ მომიკ-  
ვდეთ, ღორი შორჩილად იწეა თვალდახუჭული.

— გათედდა მავი ეპატრონო?! — ახლა სიკოთამ ჭირის-  
უფლის სახე მიიღო, იყუჩა ცოტა ხნით და მეორე, თითქოს მო-  
კვდა გონსა, თვისთვის ჩაილაპარაკა: — ყარამანას ვინ გადა-  
ურჩება ახლა!.. ჰა? მართლა მისია ვითომ? ნეტაი ჩემი იქნებ-  
ოდეს. ჰა! არა, ამხელა, ამსიგრძე სად იყო ჩემი ნახარდი!  
მარა ახლა რა ღროის ნატერა და ხუმრობაა?!

სიკოთა ახლოს მივიდა ღორთან: რა თქმა უნდა, ღორი  
სდღძდა ისე, როგორც ყველა მკვდარი, დაიხარა, დახედა, და  
აწრადიდვე ახლა ჭირისუფალივით ნოსწყვიტა მზერა...

— რამ მოკლა ახლა აგი მკვდარძალი! ეჭამა ი ბულის  
კაკალი და ცოცხალი ყოფილიყო, რავე ჩამაგდო მყრალი ყა-

რამანაის ყბაში.. შეშვამს იი მამიძაღლი, შეშვამს... უნდა ვინ-  
ჭარო... ჯერ იგი ყანიდან არ მოვიდოდა...

სიკოიამ ხელი დასტაცა ღორს, ღობესთან მარდად მივი-  
და, მარჯვენა ხელში მოხერხებულად მოიქცია: ნკვედარი ცხო-  
ველას უკანა ფეხები, მთელი ძალით მოიქნია და ძმის ეზოში  
ზღარითანი მოაღებინა. სძაღლის კარი სწრაფად გაიღო, ძაღლი  
წამოხტა, მოიწვართი და ყურები სცქეიტა. ყარამანმაც რა-  
ღაც შეიძახა, მაგრამ ძმამ შაშვსაგან ვერ გაარჩია — რა შეი-  
ძახა.

სიკოია ვაშეშდა: სახლში ყოფილა! ღორი გადავდებუ-  
ლია. ეგებ კიდევაც უთვალთვალეზბდა უკანა კარის ღრიჭოდან,  
თუ როგორ მოუკლეს საყვარელი ნაზარდაი... დამიღვთარ ეწ-  
ყოზა და არა! ბოლოს თავს ძალა დაატანა:

— ყარამანავ! ყარამანავ-მეთქი! — შეუძახა ღორის  
მკვლეულსა.

— რა გინდა, ბიჭო? — გამოეძახა უფროსი ძმა.

სიკოიას წამით ენა წაერთვა... რა უნდა? სიკვდილის მე-  
ტი იღარათყერი... მაგრამ ხომ უნდა გაელაპარაკოს! როგორც  
იყო გული გაიმაგრა და არახვეულუბრივი მაღალი ხმით დაუ-  
ძახა:

— ბიჭო, ანერ, ბეოლის ძირში შენი ნაზარდაი შემომაც-  
და. წაიღე და ხორცად მახე შეინმარე... ჭამე. გეყურება?

სიკოიამ ეს თქვა და გაინაბა: აბა, ახლა, აბა, ახლა იქუ-  
ხებსო. მაგრამ როცა საკმაოზე მეტი დრო გავიდა და ყარამანმა  
აღარ დაიქუხა, არამედ პირიქით, უღარღელი ხელი ნაბაჯით  
მივიდა ღობესთან, უნძოდ აიღო და უსიტყვოდ წაიღო შემო-  
თავაზებული ხორცი, — სიკოიას გული მიეცა, რაღაც თავის-  
თვისაც გაუგებარი ჩაილაპარაკა და ისევ ბეოლს დაუბრუნდა.

თუთა ბლომად დაგროვებულიყო. ჩაცუცქდა და ორსამ ცალობით იყრიდა პირში ამ გემრიელ ხილს. მალე თითქოს დაავიწყდა ღღეს მომხდარი უსიამოვნო ამბავი, მაგრამ როცა თუთამ იკლო, კვლავ მოაგონდა.

— რა უნდა ეთქვა მაინც, მაგ შამიძალს! ისეე თვითონ მისი ღორი იყო მტყუანი... ჰო, რა უნდა ეთქვა და, მადლობა... რომ ხორცად არ ვაზარალე. მარა ამდენი სინდისი და ზრდილობა ვინ მისცა მაგ ოხერს და გაფუჭებულს!

სიკოიამ უკანასკნელი სიტყვები საკმაოდ ხმანაღლა თქვა და ისევ თუთას ჩაუცუცქდა...

დაღამდა.

სიკოიამ შეამჩნია, რომ ღორი არა ჩანს, საღორესთან მივიდა, არ არის გული რაღაც უწუხს... სხვა დროს ამას არც კი მიაქცევდა ყურადღებას... მაგრამ ახლა.

— ნძეი! ნძეი! — უხმო და უძახა სიკოიამ თავის საყვარელ ნაზარდს. დიდხანს ჩაფიქრებული იდგა ცარიელი საღორის წინ... არ არის და არა!

— საწყალი! ჩემი ღორი მომიკლავს. აღბათ, იმიტა მექცეოდა ასე შინაურულად... უბედურს, ეგონა არ გევიმეტებდი... ეგებას არც გამეიმეტებია... საწყალი ნაზარდი, ახლა ბაღანათ რომ იტორებს, ბუღუას ნაჩუქარი იყო.

მერე თითქოს ახლა მოაგონდაო, საჩქაროდ გამობრუნდა საღორიდან. მიდის და თან ლაპარაკობს:

— შექანს მაგი უსვინდისო. მგელზე უარესია. მე რომ გადაეურჩი შეუჭმელი, იგი მიკვირს, თვარა ჩემი ხელით გადაგღებულს და ისიც ჩემ ღორს დაწოგავს მაგი თვითონ ღორი?

სიკოია გაჩერდა ღობესთან, სწორედ იმ ადგილზე, საიდა-



ნაც ღორი გადაავდო. ერთი ჩახველა და ხმაძილა დამახრჩველივით დაიძახა:

— ყარამანავ! ეი, ყარამანავ!

ამ უჩვეულო ხმაზე ძაღლის ბრახით შეიყეფა. მაპინსელი არ ჩანდა. სიკოიას უკვე გული მოუვრდა, ეჭვი დანახავით ფაქსო გულზე.

— აად აცალია ჩემდა! ახლა იგი ჩემ ნაზარდას თლის და მიართნევს... — და უფრო ხმაძილა გაიმეორა:

— ყარამანავ! ეი, ყარამანავ!

ახლია კარი გაიღო. სულმბდაყოტავებული ყარანანი გაწოვიდა.

— რა გაყვირება, ბიჭო! მგელი ხომ არ მოგდევს!

სიკოიამ თავისთვის ჩაილაპარაკა შენზე მეტი მგელი სადაა ქვეყანაზეო და შემდეგ გიგნასუხა:

— ბიჭო, იგი ნაზარდაი ჩემი უოფილა. ვაღმომივლე, ისევ მე შეეკამ!

ყარანანი უსიტყვოდ შებრუნდა სახლში, გაწმენდილგასუფთავებული ჯერ კიდევ მთელი, გაუჭრელი ღორი გამოსიტანა და დონიურს მოწვევით გადმოუგდო უმცროს ძმას: — გავხეთქოს, გლახის ნოწკალზე ღმერთს სძულს... შეგბრებს, რაც მე მაგას გადაეყვეო!

სიკოიამ ღორი ნაპოვნის განძივით ჩაიყრა გულში, ამის წყველაც კი არ გაუგონია — „ჭირი ქამეო“ რომ მიიძახა, და უკან მოუხედავად შეარბენინა სახლში...

ღორის თავი და ფეხები იხარწებოდა ქვებში შუავეცხლზე. სიკოია მადიანად უსურებდა და მოხარშდა: უცდიდა. მალე თავი ამოტივტივდა. მარცხენი თვალი გაახილა და ამ ცალ თვალით პირდაპირ შემოხედა სიკოიას. პატრონს მოეჩ-

ვესა, რომ თვალში საყვედური მოჩანდა, თითქოს ელაპარაკებოდა: ყარამახარ ყოველ დილა-სადამოს სიძინდით აპურებს თავის ღორებს... შენ კი ბეილოს ეკვალას წამაკალიო...

სიკოიამ რაღაც უხერხელობა იგრძნო და ედღოსავე შებრუნდა...

### პირველი ცოლი

— ბედი სიკოიას ჰქონია და კაციც მაგი ყოფილა...

— კი... ნანდილად, ათინოსთანა ქალი ამ სოფელში არაი!

— არა, შენ უნდა ნახო ყარამახარს ცოლი...

— ო, რაფერ ცხვირაწვეული დადიოდა იმის მოყვანად!

— წენც შენიშნე?

— ბერა! აბა, არ შეენიშნე? კაცი არ უჩანდა თვალში... ახლა კი ცოტა...

— არა, წინც ვახ მისცა ასეთი ანგულოში, ა!

ასე შეხვდა ქუთხე-მეზობლობა ათინოს მოყვანას, სიკოიას ვაბედნიერებას.

თვითონ სიკოიას კი, როცა იგი საქორწილოდ ნათხოვარ ტანსაცმელს არიგებდა მეზობლებში, ვეღარ ცნობდნენ: ღიმილი არ შორდებოდა მის ტუჩებს, ელაპარაკებოდა რაღაც ახალ, მძიმე სიტყვებს ურევდა, წელამართული დადიოდა...

მეზობელი ქალები უზომოდ აქებდნენ ახალმოყვანილს. უფრო ყარამახარს ცოლის — ფოსხებს ვინაზე და მის ვასამბრაზებლად. თანდათან დაუახლოვდნენ ათინოს და დაუხარებლად ეხმარებოდნენ, რაც კი შეეძლო.

უფროსმა რძალმა იმთავითვე შეიძულა უმცროსი რძალი

და ფქვილის მისესხებაც კი უჭირდა. ახლა მის დასანახავად ხშირად განოამზეურებდა ნოხებს და ნაჭრის საბნებს, რაც მზითვზე დაუმატეს შეძლებულმა მშობლებმა. ხშირად ახსენებდა: გიმნაზიელ დეიდაშვილს, რომლის საცოლოობას პირდებოდა ყველა მეზობელ ქალიშვილს. მაგრამ მისი ყველაზე დიდი საამაყო იყო ის, რომ ზედიზედ ოთხი ვაჟი მიეცა. იგი მუდამ ბავშვების ქებაში იყო. თუ საბაბი მიეცემოდა, ბიჭების სილამაზეზე, ნიჭიერებაზე სიამოვნებით ილაპარაკებდა, ხოლო ფიცი იყო საჭირო თუ არა, იგი მაინც ბიჭებს დაიფიცებდა: ჩემი ოთხი ბიჭი ნუ მომიყვდებო.

— სილამაზე ვინ ჭამა და ვინ სვა. საქმეა ოჯახი, შვილები, შეძლება, — ყოველთვის და ყველა ამბავს მიაყოლებდა. — მართა იგი რად ღირს, რომ ოთხი რძალი დამიტრიალდება ოჯახში, ოთხი მზითვეი რომ ურწმუნოდ შემოკრიბდებოდა ცხოში!

ერთიელ თავმოებზრებულმა ყარაიმანაც კი გაუმტყუნა ეს ასჯერ გავონილი ტრახახობა — სირცხვილია, ქალო, ასე ლაპარაკიო.

— რაა სირცხვილი, შე კაცო, სიმართლის თქმით? — გავასხდა ფოსხე. — ჯერ გუშინდელი მოყვანილია, ისე ქვია, და ორი გოგო ყავს... ჭადით ვერ გაუძლია, შიშველ-ტიტველი და უღის... მალე ათი ეყოლება... შერე ღარიბი კაცი ხომ ბაღნების გაყეთების მეტზე არაფერზე ფიქრობს... ჰოდა ამდენი მზითვის გაწყობას შესძლებს მაგი დილენჯი?

— შენ მაინც არ უნდა იკადრო მაგის თქმა! — შტკიცედ უთხრა ყარაიმანმა ცოლს.

— კიი, ბატონო, საყუთრად შეხ გყავდეს ცოლიც და ქმარიც. გიმრავლოს ღმერთმა! — და ამ ლაპარაკის შემდეგ უო-



სინე ძლიერ ცოტას ამბობდა უმცროსი რაქლის შესახებ, თუმცა გულა შხამით ქმონდა საესე, თუ მეორეხარისხოვანი სტუმარი მოუვიდოდა, ბავშვსაც კი გაუგზავნიდა წამებმარეო და ეს, მისი აზრით, დაპატივებას ნიშნავდა, ასე კი არც აწუხებდა და არც თავს იწუხებდა მისთვის.

ასე გავიდა წლები, სიკოიას სიღარიბე ძველივე რჩებოდა, ოჯახში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: მესამე ქალიშვილი გაჩნდა.

— ახლა მაინც გონს მოდი და ოჯახში რამე გაიკვლიე, კაცო! — შეათასნდ შეახანა ქმარს მოვალეობა ათინომ. — ხომ ხედავ, სარჩენი სარჩენს ემატება, შემოსავალი არაა, ჭადი ხომ არ უნდა ენატრებოდეს შვილებს... რა გეშვევლება!

— „რამაც ღწერტობა თხა დაბადა, რწებებიც მან მოუტაკუტა“. — ბრძენივით წარმოთქვა სიკოიამ და მერე განუმარტა: ღმერთი მის გაჩენილს შიმშილით არ მოკლავსო.

...და გატანჯული ცოლი ავად გაოხლა სიკოიას.

— ვაწვი, ადამიანო... სიცხე მაინც გამიზომე! — თითქოს წაბოლა ავადმყოფს.

— წადი, ციცავ, — უთხრა სიკოიამ უფროს გოგოს. — მიღე ბიძაშენთან: იმას არაფერი აკლია სიკვდილის მეტი... მალე ღმერთი იმსავ მისცემს... პო, უთხარი სიცხის გრადუჩითქვა, ქე მოვიტან საღამოს-თქვა... ეგებებს სიცხემ დაუკლოს-თქვა...

პირველ ხანებში ტემპერატურა მაღალი არ იყო, მაგრამ მალე აიწია, მეზობლებმა ფერწალი მოიყვანეს.

— რანე ცამელი ანამოვ... აკათხა გაქართველებულმა გრიშა ფერწალმა, რომელსაც ეს ბრძოლესაა ჯარში საღამოსობისას მიუღო.

— არა, მარა სიცხეს სულ ეუზომავდით, — ისე თავმომწონედ უთხრა სიკოიამ, თითქოს დიდი გპირობა ჩაედინოს.

— მერე რამდენი იყო?

— ორმოცს არაფერი აკლდა... ხან ოთხი გრადუსი, ხან ერთი გრადუსი. ახლა რამდენი აქ, ციკავ? — სიკოია მიუბრუნდა გოგოს, მაგრამ იგი უკვე წასულიყო.

— ფილტვების ანტეზაა. — თქვა ფერშალმა და წამლები გამოწერა.

— სამი ცამალი იკნება, — დაიწყო დარიგება ფერშალმა. — სამივე ნაჩამს დააღვეიე, დღეში სამჯერ. ცხალი ცამალი იკნება, მერე კაბლი, მერე პარაშოკი.

მაგრამ სიკოიას თავი ჩაექინდრა და ფერშლის არაფერი ესმოდა.

დარიგება დამთავრდა. ყარამანი გარეთ გამოჰყვა ფერშალს, ვერცხლის ათმაურიანი ჯიბეში ჩაუღო. გზამდე მიაცილა, რაღაცეები ჰკითხა ავადმყოფის შესახებ, მერე მადლობა გადაუხადა და სახლში შევიდა.

სიკოია ისევ თავჩაქინდრული იდგა.

— ნუ გეშინია, ბიჭო... არ მოკვდებო, — შეებრალა ძმა ყარამანს.

— მაგი მეც ვიცი... ამდენი ხანია არ მომკვდარა და ახლარა ღმერთი გაუწყრება!

— აბა, რამ ჩაგაფიქრა?

— ნაგ შამაძალს ფული მიეცი?

ყარამანმა განცვიფრებით შეხედა უმცროს ძმას. მერე გესლიანად უპასუხა:

— არა, ბიჭო. თურმე კოცნაზე მუშაობს.

— ფულს კი არა, შავ ქვას მიგცემდი მაგ მამაძალს! — გულით თქვა სიკოიამ.

ახლა ყარამანს ცეცხლი მოედო. „შავ უბედურს ჰგონია ათ შაურს ვალამახლევიებსო“ სწრაფად გაივლო გულში და ძმას მიახალა:

— ნუ გეშინია, ბიჭო. იმ ფულს შენ არ გადაგახდიებ!

— ფულს რომ არ გადავიხდი, მაგი შენც კარგად იცი და მეც. მარა...

— მარა რა გაწუხებს, ბიჭო? კაცმა იმუშავე — ფული მივეცი. აბა, თავი რაფერ ირჩინოს?

— მინ კი იმუშავე, მაგრამ მე რას წამადგა? მასეთი წამალი რად შინდა?

— ვერაფერი ვანიგია! — შეწუხდა ყარამანი. — ბიჭო, როგორი წამალი გინდოდა, აბა?

— შენ რა გენადვლებია... სამჯერ დღეში „ნაჩამს“ შემდეგო...

— მერე?

— ბიჭო, მაგის ანგარიშით ვანოდის, რომ ათინომ დღეში სამჯერ უნდა ქამოს.

— მერე?

— საიდან, ბიჭო?! ამდენი თუ ეჭამა, არც ავად გახდებოდა... სამ ჯერს ახლა ვურიელი ვერ ქამს.

— ბიჭო, მე მოგცემ ერთ ქათამს. დაუკალი და აჭამე. მერე კიდევ ღმერთია მოწყალე, რამე გახერხდება. — გულით უთხრა ყარამანმა და შინ წავიდა.

ნახევარ საათში ფეხებშეკრული ქათამი მოუვიდა სიკოიას.

ძმას წამლებიც გამოეტანა აფთიაქიდან. მოიტანა. აუხსნა



რონელი და რამდენჯერ დააღვევიოს, სუფრის კოვზიც ამოიღო  
ჯიბიდან. რამდენი წვეთი ეწერა ისიც უთხრა და წავიდა.

— ღმერთი მოსპობს მაგის ფერშლობას! ერთი კობე წყა-  
ლი არ ყოფნიდა, ახლა თხუთმეტი წვეთი მოარჩენს?!  
ორ დღეში ყველა წამალი გამოიღია და ათინოც გათავდა.

## მგლოვიარე ნათლია

— ვარდოფინაი მომწონს ძალიანი. ვოჯასპირა დღონტის  
ყარდოფინაი. — სასლოს პარმალში ჯორკოზე ჩამომჯდარ ეგვი-  
ტო მაწვალს ეუბნებოდა სიკოია.

— შერე საიდან იცნობ, სად ნახე? — ცალი თვალის მო-  
ქუტვით იკითხა ეგვიტომ.

— ნავომარში ვნახე, ბაზრობაში. ყველა ქალს ჯობდა... მა-  
შინვე გადავწყვიტე, ათინო თუ მოყვდა, ამას შევირთაე-მეტქი.

— თადარიგიათა კაცი ყოფილხარ, სიკოია... მარა ცოც-  
ხალს დაუბედე სიკვდილი?

— შერე მაგას ხომ არ მოუვლავს იგი საწყალი!.. იმ დღი-  
დან მოკიდებული სულ ვარდოფინაზე ვფიქრობ... დღეც და  
ღამეც... — გულაზრუყვით თქვა სიკოიამ უკანასკნელი სიტყ-  
ვები.

— ასე ახალგაზრდა ქალი რა შენი საქმეა, სიკოიავ? —  
შეეკამათა ეგვიტო.

— აბა, შენ ხომ ვერ გითხოვ?..

— გადირიე, ბიჭო? რას ბოდავ? — პირზე ხელი აიფარა  
ეგვიტომ.

— აბა რა, ორმოც წელიწადზე მეტია ხომაა?

— მერე, ბატონო, ქალიშვილია... შეხედაე, ოცდახუთის გეგონება.

— მაგ შეხედულებიზე მოქეწონა, თვარა ქალის მეტი რაა ქვეყანაზე! — არ ცხრებოდა სასიძო და თვითონაც უკვირდა თავისი ენაწყლიანობა.

— მეშინია, სიკო ბატონო... მეშინია, არ მიფრინოს: ხან-ში შესულიაო, ბედნაცვალიაო... სამი ბაღანა ყავსო, უსახლ-კაროა — ისე ქვიათ და რა ვიცი.

— შენ ყურში ჩააწვეთე ჩემი სახელი და მერე მე ვარ „ატვეჩაი“.

ეს „ატვეჩაი“ ძალიან მოეწონა ეგვიტოს, თუმცა მისი შინაარსი არ გეგებოდა... თვითონაც გულში გაიმეორა — დამ-ჭირდებო... ამ სიტყვამ სიკოთა დიდად ამაღლა ეგვიტოს თვალში, ეს აბუჩი დიდ ნასწავლად და ბრძენად წარმო-უდგა მას, მაგრამ ყველაზე უფრო ის აოცებდა, რომ ამ კაცმა გასამრჯელოზე ერთი სიტყვაც არ თქვა. სწორედ ამის მოლო-დინში იყო მაშეაღი, ამას უცდიდა, ამისათვის ჯანჯლობდა...

— გამოცდილი კაცი ხარ, სიკო ჩემო, და გულაბდილად გვითხავ: მიგის წელი კი გაქვს?

— წელიც მაქვს და გულიც.

— ხომ იცი ამას რა ხარჯები სდევს? ნიშანი უნდა, მეჯ-ვარე უნდა, მერე ქორწილი... და მეც, აგი მოხუცებული... ჩე-მი ნაცოდვავე რად გინდა? ტყუილად ხომ არ ვიბრენ?

— შენ საქმე გააკეთე, შენი საქმე, დანარჩენის „ატვეჩაი“ ძე ვარ... ხომ გითხარი, მეჯვარე მყავს, ძველი დარჩება, ნიშ-ნად იმ ცხოვრებულის ბეჭედი გყოფა. განგებ არ ჩავატანე... აბა ნიწაში ბეჭედმა რა უნდა აკეთოს. თან ვიცოდი — გამომად-გებოდა. ქორწილის მოწყობილობა ყველაფერი მექნება, ტყუ-

ილად არც შენ გარბენინებ: მომავალ ყაჭობაზე ბეოლს მოგ-  
ცემ. ერთ კოლოფს ეყოფა... ახლა რაღას იტყვი?

— ახლა ვნახოთ... ხელს არ მივყავლებ და... ვნახოთ! —  
კმაყოფილება დაეტყო მაშვალს.

მეტი ეგვიტოს აღარადფერი უთქვამს, უსიტყვოდ გამოეთ-  
ხოვა მასპინძელს და პირდაპირ, იმავე ფეხზე ღლონტებისაკენ  
წავიდა ვარდოფინასთან.

სიკოიამ, თითქოს სტუმარი გააცილიო, შუა ეზომდე  
მიჰყვა, შედგა ეზო-კარი შეათვალიერა, უფროს გოგოს ეზოს  
დაგვა დააეალა, უმცროსი ფიჩხისათვის გაგზავნა და თვითონ  
ეზოდან გავიდა.

ქაიხოსრო კვერჩხელიძე, სიკოიას მეგჯირე და შვილების  
მომნათვლელი, სულ ახლოს იდგა. — ორ-სამ წუთში მისი ეზო-  
ს ჭიშკარს მიადგა. ეზოში ბავშვი თამაშობდა. სიკოიამ ხე-  
ლით ანიშნა, ბავშვი თავისთან მოიხმო და დააეალა ქაიხოს-  
როს დამიძახეო.

— ო. ო! მობრძანდი, სიკო, მობრძანდი.

— გახლავარ! — გაეხმიახა სტუმარი ნათლიას.

— ჩამოდი, კაცო, ეზოში, სახლში...

— აქაც თქვენი ოჯახია, ბუღუავ! — ხელი ჩამოართვა და  
განაგრძო. — ორი ღერი სიტყვა უნდა გითხრა და სახლში რა-  
ღას გაწუხებ... აგერ გეტყვი.

— მშვიდობა ჩომაა, ბიჭო? აღელვებული მეჩვენები.

— ჰო, აღელვებული ქე ვარ, მარა არადფერია, უნდა შეგა-  
წუხო კიდევ ერთხელ...

— როგორ კიდევ? ფული არ მითბრა, ჩემო ძმაო, და...

— არა, ფული არ მინდა, ჩემო ბუღუა, ჩემო ნათლია.

— აბა?



— კაცო, ამდენი ხანია მოყვრები ვართ. სამი შვილი მყავს და სამივე შენი მონათლულია... ამასთან... წელიწადი ქე გევიდა იმ უბედურის სიკვდილიდან... უქალოდ ოჯახი ხომ ვერ დარჩება, ბაღნების იმედით...

— რაცხა სხვანაირად ჭიკჭიკებ, ჩემო სიკოიავ...

— ცოლს ვირთავ, ბიჭო... მეორეს... და ისევ შენ უნდა შემოიკვალო ჯვარი.

— შეე? რავა გეკადრება, ჩემო სიკო... არ შემოიძლია.

— რატომ, კაცო?

— მგლოვიარედ ვარ, კაცო, მგლოვიარედ... თვარა უარს რავა გეტყვოდი!

— რა მოგივიდა, შე კაცო?

— ნათლიდედა მონიკვდა... სამი მონათლულის დედა.

— ბიჭო, ჩემ ცოლზე ჩივი ხომ?

— ჰო, იმ ცხონებულზე.

— მერე, ბიჭო, მე გამოვიგლოვე და შენ რას იკლავ თავს?

— შენ არ იცი, რას ქვია ნათლიდედის სიკვდილი... ღმერთმა ნურც გამოგაცდიოს...

— მწუხარების მონაწილე ვარ, ბუდუა... მწუხარების. მეტი რა ვთქვა. — და სტუმარი გამობრუნდა. გამობრუნდა, მაგრამ ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ეჭვები და ფიქრები ისე უღრტინებდა, რომ თავის ტკივილიც იგრძნო.

„იქნება, არც უნდა მეფიქრა მეორე ცოლის შერთვა, — ჩვეულებრივ ხმამაღლა ფიქრობდა იგი. — მარა საქმე დაწყებულია და ეგვიტოს ახლა შენ გააჩერებ? რომ გავაჩერო ასე აჯობებს ვითომ? მერე იმ ქალსაც გული აფაცურებული ექნება... არა, რადგან დავიწყე, აღარ დავგეთხოვი“..

იღგა შუა გზაზე სიკოია და ასე ფიქრობდა. ბოლოს ორი თობიანი კაცი წამოეწია. აიყოიას გამარჯობა უთბრეს და მეორე კაცი — მოსაუბრე რომ ვერ დაინახეს, გვერდით ჩაუბრუნა და დიდხანს უკან იხედებოდნენ.

გაწბილებულს და ფიქრებში: დატვირთულ სიკოიას მათთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, საბოლოო აღუქმარ და ეზოში შევიდა.

### მავალი და ვარდოფინე

ეგვიტო მეორედ მიდიოდა ვარდოფინესთან. პირველი საქმე ათი-თორმეტი წლის წინ იყო. ერთმა აყეთელმა გლეხმა მიაგზავნა. მამუალს გაკეთებას პირდებოდა. მავრან სანახავად რომ მივიდა, აფრასიონს შინ არ იყო. ტალიშვილმა ისე საქმის გადაწყვეტა ვერ გაბედა. ეგვიტოს სთხოვა, შემდეგისათვის იყოს, როცა ძმა ქალაქიდან ჩამოვა.

ვარდოფინე იაე ლამაზი და იერიანი იყო, რომ მწველას მოყვანილ ვაჟს ძალიან მოეწონა და იფიქრა, ამის შინ არყოფნა დაწუხებებს ხიშნავსო. ამასთან თვითონ ძალზე ღარიბი იყო და ოდიანი ოჯახიდან გამოთხოვილი ტალის ემინოდა — შესაფერად ვერ ვაცხოვრებ და აღარ მომიცდისო.

ამიტომ, როცა შემდეგ ეგვიტომ სიტყვა ჩამოუგდო — ძმა ჩამოსულიაო, ვაჟმა საქმის განახლება აღარ იმდომა და მალე სხვა შეირთო.

ვარდოფინეს თავის დროზე უანრავი მთხოვნელი ჰყავდა. თვრამეტი-ოცი წლის ასაკში, მშობლების სიცოცხლეში, ზედმეტად არჩევდა, ყველას რაღაც ნაკლს აღმოუჩენდა და იწუ-

ნებდა. მოძობლების გარდაცვალებას შემდეგ ერთხანს მგლოვარედ იყო, მერე მზითვეის იმედი და საშუალება აღარ ჰქონდა. აფრასიონს, თუმცა უფროსი იყო, მაგრამ შაინც დის იული სჭირდებოდა, შერე, ძმის ქალაქში ყოფნის პერაოლი, აგრეთვე სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო ოჯახს ვერ ჰოცებდა, მოვლა-პატრონობა უნდოდა... ამასობაში კი ოცდაათ წელს გადასცილდა ქალიშვილი და თვითონაც უკვე ნაკლებად უფრობდა გათხოვებაზე, თუ მანვალი მოვიდოდა, საცალით ებასუსებდა, რა დროის გათხოვებაა, უკვე მოვბუცდიო.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ამ წუნებასა და ბუმრობაში ვარდოფინე იბრნიცა წლისა ვახნდა, კობტაობას თავი განება, ფერუშარილი შეიძულა, ჩაცმა-დახურვასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და მანვალიც აღარ აწუხებდა.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ეს ჯანმრთელი, გამრჩე და შიკაგანი ქალი საკმაოდ ღამაში და სახლობიანი იყო. ერთი სერიოზული და შუახნის კაცი საცოლედ ვერ დაიწუნებდა, ოღონდ სად იყო ასეთი საქმრთ!

სიკითხა აღრევე მოეხიბლა ვარდოფინეს, მაგრამ რა უნდა ექნა... ცოლის სიკვდილის შემდეგ კი ეს ქალი ფიქრად და ოცნებად გადაქცეოდა.

დღეს იგი უაზროდ დაბორიადებდა ეზოში და ეგვიტოს მოსვლამდე ერთი სული ჰქონდა.

ვარდოფინე ძველი კარგი ნაცნობივით შებვდა ეგვიტოს. ძალი ჩააჩუმა, სტუმარი მხიარულად მოიკითხა და ოდაში შეინატიყა.

— კი გენაცვალე, სალაპარაკო მაქვს და ოდაში ჯობს...



ეზოში უხერხულიცაა, ქვეყანა მოდის და მიდის. — თქვა სტუ-  
მარმა და ქალიშვილს ოდაში შეპყვა.

— ჩემთან სალაპარაკო რაღა დაგჩა, ეგვიტო ქალბატო-  
ნო! — სიცილით უთხრა ვარდოფინემ.

— კი დამჩა, ციცავ, კი... „ქალიშვილი ბერდებოდესო,  
ბერდებოდეს — ბედს ელოდესო“. ჰო, ბედს ელოდესო, ხომ  
გაგიგონია?

— მერე მავი მეც შემეხება? — უკვე სერიოზულად შეე-  
კითხა მასპინძელი.

— სწორედ რომ შენზე ყოფილა ნათქვამი, ახლა მოდი,  
სერიოზულად ვილაპარაკოთ. მე ამ საქმეში დავბერდი, აღარც  
შენ ხარ ბაღანაი. ბედი მოგადგა და ხელს ნუ ჰკრავ. სერიო-  
ზული კაცია, ოჭახისა და მტერ-მოყვრის კაცი, ოდის მეტი არა-  
ფერი აკლია. ამ ოდასაც, თუ იგი აუცილებელია, თრივე უფრო  
ააშენებთ...

— ვინაა იგი უბედური, ჩემთან რომ ვისერს იტეხს?

— აგერ გეტყვი მაგასაც. ერთი მიზეზია მხოლოდ. ბედ-  
ნაცვალი! თუ კი ეს მიზეზად და წუნულად ჩაითვლება. —  
და მასვალმა თვალი თვალში გაუყარა.

— ჩემო ეგვიტო... შენ მართალი ბრძანე, ჩვენ ბავშვება  
აღარ ვართ და სერიოზული ლაპარაკი გვმართებს... და გულ-  
ახდილიც...

— სწორს ჩივი, ციცავ, ტრამბახი და პრანჭვი ჩვენ აღარ  
შეგვეფერის, არ დაგვშვენდება.

— მაინც ვინ არის? სადაურია? — იკითხა ვარდოფინემ  
და სახე აელეწა.

— შორეული არაა, ციცავ... ბალნებიც ჰყავს, მარგალი-

ტი ბაღნები, გოგოები... გაიზრდებიან, გათხოვდებიან და ქე  
იცხოვრებთ ტკბილად.

— ბაღნები! იგიც სამი, კია ძნელი, მარა კაცი თუ ვარგა...

— კაცი ნამდვილად კარგია. — სიტყვა შეაშველა მაშეალ-  
მა.

— შორებელი თუ არაი, იქნება ნეც ვიცნობდე.

— ქე შეიძლება... სიკო ვერჩხელიძე გაგიგონია? მაშა-  
თის საყდართან ღგანა...

— უი, რავა არა, კიდევაც შინახავს.

— გკოდხია და გამიხარდა... მაღალ-მაღალი, ტანადი. —  
გაწელა მაშეალმა.

— რაღაც ათასნაირი გამიგონია მასზე... უსაქმურები ჩი-  
ოდნენ და იცინოდნენ...

— ხუმრობა უყვარს, ცაე და ზოგი მასაც მოუგონებს რა-  
მეს სსააკილოს... ზოგს თვითონ იგი მოუგონებს და ასე მასხ-  
რობენ... თვარა ისე, იცოცხლე, იგი სერიოზული კაცი იყოს.  
შარშან მოუკვდა ცოლი... ისეთი ქალი, რომ მთელი სოფელი  
მისტიროს... მარა შენი ძალიანი იმედი მაქ, იმას თუ აჯობებ.  
თვარა არ ჩამორჩები.

— მე აფარასთონს თუ არ ვკითხე და რძალს არ ვაცოდო-  
ნე, ისე ვერც უარა ვიტყვი. ვერც შირობას. შაგი, შგონია,  
საწყენი არაა...

— არა, ციცავ, საწყენი არაა... მარა ადრახსონმა რა უნდა  
გითხრას, იგი ხომ სტუნაროვითაა სოფელში.

— შინც უნდა ეკითხო, ჩემო ეგვიტო. შირისუჯალი ჩე-  
მი იგია და... მეტი ვინ შყავს....

— იგიც გახსოვდეს, ნენა, რომ ნამეტარი კითხვა-შვრე-  
ტით საქმე არ გაკეთდება. კაცი შორიდან ვიცნობს, შენც ქე

გოდნია და ქვეყანას ხუ შეეძრავთ, შენ კახ ხარ სამღვილად.  
მარა ასეთ საქმეში თრპოცი წელი დიდი ტვართია...

— ამას, აბა, რა ქვეყანა ქვია, აგერ არიან ეზოს ყანაში.  
იგიც, ანეტაც.

— უიშე, აფრასიონი შინაა? შეგონა ქალაქში იყო... ვარ-  
გია, გენაცვალე... დავუძახოთ.

— მართო ორი არიან, და, ვფიქრობ, მითთახ ჩასულა  
სჯობს. — უთარა ჭაღინვილმა.

— ჩავიდეთ, საქმისათვის ნამღვილად ასე უკეთესია. —  
დაუთახმა ეგვიტო და წამოდგა.

ოდინად სწრაფად ჩამოვიდნენ ეზოში. ჯერ აღაგებუ გა-  
დავიდნენ და შერყ ბილიეს ვაძყუნეს, წინ — ეგვიტო, უკან —  
ვარლოფიაე.

სტუმრის მიხალშებისთანავე აფრასიონმა თონი ხეზე ნი-  
უღდა და ბუოლის ჩრდილში შეუძღვა სტუმარს. ამ ჩრდილში  
იჯდა ანეტა პატარა ნავშვით.

მასვალმა თავიდან დაიწყო და მთელი ამბავი მოქარგა.

— აბა, პატარო, საქმე და ცაცია თქვენა დასტურა ელ-  
სადება. — დასკვება ეგვიტომ.

— შე აქ ძალიან ახლობელის შეტს ვერაფის ვიცნობ, —  
თქვა აფრასიონმა. — გათხოვება ნაადრევი არაა, და საქირო-  
ცია. შე თქვენი მადლობელი ვარ, ჭაღბატონო, და პატივისცე-  
მაც ჩემზე იყოს. რაც შეეება სააიპოს, ვნახოთ, შენ რას  
იტყვი, ანეტა?

— შე ბევრჯერ მინახავს იგი კვერჩხელიძე. ცოლის სატი-  
რელსაც ვიყავი, ერთი დარბიი ვაცია, ასე ჩანს, ნადგამობით,  
და თუ ვარლოფიანეს მოსწონს ეს საქმე, საწინააღმდეგო არა-



ფერი მაქვს. სიღარიბე და ბაღნები ისეთი არაფერია, რომ არ ეშველებოდეს. გააქანონ ხელი და ქონება მოვა. გაზარდონ ბაღნები და იგინიც მიეხმარებიან... მერე გათხოვდებიან, და იცხოვრებენ ბედნიერად. — ენაწყულიანად დაბნეული თავისი სიტყვა ანეტამ.

— სიღარიბე და ბედნაცვლობა, ჩემი აზრით, სულ არ უშლის ამ საქმეს. — დაუმატა აფრასიონმა. — მერე, ბაღანაკაცი არც დაშვენდება ახლა ჩემ დას...

— თქვენ აგაშენა ღმერთმა. კაი ხალხი ყოფილხართ და კაი სიძველე გეყოლებათ, — დააბოლოვა კამათი ეგვიტომ. — ახლა მზითვის საქმე...

— ვარდთფინეს აგებულა ეს ოჯახი და იმას ჩვენ გულს არ შევაცლებინებთ, — თქვა აფრასიონმა. — მერე კიდევ: ქორწილი უსათუოდ უნდა გადაეუხადოს თავისი კი მან იცის, როგორც სიძე ისურვებს.

ანეტამ მუღი და მამული მიაცილა ჭიშკრამდე. მამულს ბოდიში მოუხადა — ვერაფერი პატივი გვეცითო და უკან განობრუნდა.

## სამორწილო სამზადისი

ეგვიტომ სიკო გაახარა.

— შენი ბეჭელი და ქვერი თავზე გადაიყარე. მე შეგი არ მყოფნის. — დაიწყო შუამთავლობა. — ისე გაქე და იმდენი გადიდე, რომ სულ ცაცხლი მოვლავდე იმ უბედურს!

— ჯერ ერთი, ნამეტარი ქებაც არ შეიძლება, ეგვიტო.

ზერე საყვედური და ჩხუბი იცის ზედმეტმა ქებაამ... მეორეც რატომ ეძახი იმ ქალს უბედურს!

— თუ ბავშვი ეყოლა, ვერსად გაგექცევა. შინ კი რამდენიც უნდა, ამდენი იჩხუბოს...

— რავა, ქალო, ჩხუბი და მტერი უნდა გაშიჩინო ოჯახში?

— წენს სიტყვას მოვაყოლე, თვარა საჩხუბარი რა გეძნებათ! ან უბედური რავა იქნება! აგი სიტყვია მასალა... ისე ვთქვი.

— ახლა იგი მითხარი: სანაშნოდ იმ უბედურის ბეჭედი გამოადგება?... ხომ არ დამეკარგება? ა?

— თვითონ ქალიც რომ დაიკარგოს, ბეჭედს ნაინც არ დაგიკარგავ.

— ახლა ქორწილის რაიო? მე ძალიანი მეჩქარება... — თქვა და დაიმორცხვა სასიძომ.

— ქორწილი ქე მოაწყოთ უხდა... ნათესავეები მყავსო, მოყვრები მყავსო, მტერიც კი მყავსო...

— ღლონტების გასაძლომი ბურ-ღვინო სადაა, შე ქალო!

— აბა, წიწილი ხომ არაა, კაცო! ორმოცი წელი უშრომია ქალს ოჯახში და ახლა უხმოდ და უმაყროდ გადაიპაროს ეზოდან?

— ჰო, მაგი ქეა მართალი.

— მართალია, ჰო!

— მერე როდის მოვაწყოთ?

— მაგი ჩემი საქმე აღარაა. ჩემი საქმეა ქალი და ჭირისუფალი დავითახში. დანარჩენი... მამასავით უფროსი ძმით გყავს, მეზობლები გყავს... და თქვენ იცით.

იგვიტო წელამართული გავიდა ეზოდან, სწორედ ისე, როგორც ყველა გამარჯვებული მამული დადის.

სიკოიამ ყარამანი მოიკითხა. ყანაშიაო, უთხრეს. რძალს ჯერ ვერაფერი გაუბილა. ბევრი იფიქრა სიკოიამ ღობესთან. მაგრამ გადაწყვიტა ისევ მშისათვის დაეცადნა, ის კი საღამომდე არ დაბრუნდებოდა ყანიდან. სიკოიამ ხის ნახსები ფარჩხი წამოიღო და ბავშვებს გადასცა:

— ეზო კარგად დახვეტეთ, თუარა სტუმარი იქნება და თქვენ გაგლანძღავენ! — მერე სწრაფად გავიდა შარაზე და ქაინოსროსაკენ გასწია.

იმ საღამოს სათათბიროდ წეიკრიბნენ ეზოში: სიკოია, ყარამანი და ქაინოსრო.

— ფული რამე თუ გაქვს ხელში, ბიჭო? — იკითხა ყარამანი.

— ფული არ მიხანიათ, თუარა ბარე ორ კაცს მოვცლავ! — კატეგორიულად განაცხადა სიკოიამ. — ფული რომ მქონდეს, უთქვენოდაც მოვიხმარდი.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, ხუმრობა ხომ არ იყო: სიკოიას ცოლი უნდა, ქორწილი უნდა, ხილო ფულის ხსენება უჭირს! ფიქრს მიეცა ორივე. სიკოიას გული მოუვიდა.

— რას ფიქრობთ ამდენს? პურიით და ღვინით ოჯახი სავსე გაქვან, — ყარამანს მიუბრუნდა, — და ძმაიზა ათი ფუთი ღვინო გიჭირს? ვშენდები ბიჭო, ხომ არ ექცევი, ცოლი მოწყავს! ან შენ რა ფულზე ტირი? — ახლა ქაინოსროს მიაჩერდა. — ღომი გიღებება ბელელში, შვიდი სული საქონელი გყავს... ერთი ფუთი ღომი შეყოფა. ერთი წითელი დეკნა რომ გყავს...

ქაინოსრომ პირი დააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიკოიამ დაასწრო:

— არა, ჯერ მე ვიტყვი... სამი მეწველე ძროხა გყავს, ერ



თი უღვლი ბარი, ორი დევნა... ერთი რომ ნოაკლო, მეც მად-  
ლიერი გეყოლები და შენი მონათლულებიც გაიხარებენ. პო.  
მავიწყდებოდა. ყველაფე ხომ გვჭირდება? ზოგი თქვენ გაქვან.  
ზოგიც მეზობლებს... პო, ვოტკაც გამომჩნა... ყველა ნეშარის.  
რომ ანალუბთ და ახრჩობთ, ორი-სამი ბოთლი ჩემდაც გვიძე-  
ტეთ. შე მამამადლეო და თქვენ დალიეთ...

— ბიჭო, აღარ გაათავებ? — გულმოსულმა შეაწყვეტინა  
ძმამ.

სიკოთია დადუმდა. მკლავით ოფლი მოიწმინდა საბეზე.

— ნე, ბიჭო, ერთი წყეთი ღვინო აღარ მაქვს. ვაფყიდე გა-  
სულ კვირას. საქორწილოდ მივეცი სწორედ... პოდა...

— აბა, ფული მომიეცი და ვიყიდი.

— ბიჭო, ხაშვრლები ხომ არ მყავსარ? რას გაღამეკიდე?

— შენ თუ კაი კაცი ხარ, ძმასი არაფერია?

— ჩხუბი და დიფე გეყოფათ! — ორივე გაახრმა ქიახოს-  
რომ. — ვთქვათ, რა გვჭირდება და რამდენი. რა გვაქვს სახლში.  
რის მოტანა შეგვიძლია თვითთულა. რის დამატება და შოვნა  
მოგვიწიეს და სად რას ვიშოვიო.

— შე ბატონო, არაფერი არა მაქვს და არც მოტანა შემო-  
ძლია. ჩვენ გაყოფილი ძმები ვართ. ცხოვებულმა მამამ თავის  
სიცოცხლესივე გაავინაწილა ქონება და თანაბრად მოგვეცა.  
პირველი ფარდიც მაგასი აიღო — უმცროსიათო, — თქვა ყარა-  
მანმა.

სიკოთიამ პირი დაადო, რომ რაღაც საშინელო ვთქვა. მაგ-  
რამ ქიახოსრომ ორივე ხელი მიადარა პირზე:

— თქვენ ჩხუბის ხასიათზე ხართ. შე კი შინ მიმეჩქარე-  
ბი, თქვენ ყარვად იცით, თუ რამდენი რაა გასაველებელი...  
მერე, ჩემო ყარამინ, ტირილისა და ქობწილის საქმენი ჭირია

სუთალი უფრო ილანდებდა ვიდრე მასპინძელი. ქვეყანამ იცის, რომ სიკოიას არაფრის გაყვება არ შეუძლია, გარდა შეიღობისა. ეს ხელობა კი ახლა არაფერში არ გამოგვადგება.

სიკოია წელში გაიმართა:

— შენ ავაშენა ღმერთმა, მართალს რომ იტყვი... თქვენ მოვეჭრებით თავი, თქვენ!

— მე რა ვქნათ, ქიანოსრო? მეცდარი ჩვენ დავმარბეთ, ცოცხალი ჩვენ მოვეგვართო და სიკოიამ დრო ატაროს?

— მამა ნუ წამიწყდება... — კვლავ აიწყვიტა სიკოიამ, და ქიანოსრომაც პირზე ხელი ააფარა.

მერტე ყარამანს მიუბრუნდა:

— ძმაო ხარ, მამასავით უფროსი ძმაო. პირველმა შენ უნდა გვიბრა, რა შეგიძლია შეეწიო უმცროს ძმას ამ საქორწილოდ.

— მე, ჩემო ბატონო, ნახევარი ფუთი ღომი, ერთი მამალი, ერთი კვერტული, ერთი ბოთლი ვოტკა და ორი ოყა ყველი შემიძლია ვიყოსო და გათავდა, შორჩა!

— ღვინოს რას იტყვი? — კიდევ დაასწრო სიკოიას ქიანოსრომ.

— ღვინო არა მაქვს, თვარა არ დავამადლიდი... ძმაო, რაც უნდა იყოს.

— ესე იგი ღვინო არა მაქვს... რა ვქნათ, სიკოიავ?

— რა ვქნათ? მაგი საქმე ჩემზე იყოს. მევიფიქრებ რამეს... იმ უბედურებს, პირველი ცოლის ქირაღუფაღს ვასოვ. იგიმს უნდა ქონდეს...

— სირცხვილი არ იქნები, ბიჭო? — გაბრაზდა ყარამანი.

— მეორე ცოლის მოყვანის ხარჯი პირველი ცოლის ქირაღუფაღმა გაიღოს?

— მაშინ შენ მომეცი.

— ბიჭო, არ არის, ღმერთი, რაღვლა!

— ჰოდა, კიი ძალიან... უქონებო კაცის სირცხვილი ვინ თქვა! იგივე ვთხოვ, — ასეთი აფორიზმით შეაჯამა აზრები სიკოიამ და წამოდგა.

— შენ რაი კისრულად, ქაიხოსრო? — ასლა ყარამახი შეეკითხა ნათლას.

— ხვალ ვიტყვი. ხვალ საღამოს... თავი მოვყაროთ მწუხარებებში და საქმეც მოვათავსებოთ. მთავარია, სირცხვილი არ ვქაშოთ.

ქაიხოსრო და ყარამახი წაყვიდნენ. შარახე ხუთიოდე წუთი წაითათბირეს და თავიანთი გზა მოინახეს.

სიკოიას სტუმრები არც კი გაუცილებია, კერძასთან იჭდა თავზე ხელშემოდებული და ფიქრებში გართული. ხან მოიღუშებოდა, ხან ოდნავ გაიღივებდა.

— რანე უნდა გამოვივინო... — თქვა სასიძომ და აელა წამოდგა. — რავა დაიჭერება, რომ ყარამახს ღვინო დაეღია. ტყუია მაგი მამაძალი... იმდენს დყისო დააყენა, ორი ჭურვი მწუხარებს გამოართვა. არა, მატყუებს, ყველას ვერ გაყიდდა, ვერც გაყიდდა. წრეულა იგი ბეჭეტი აღესა ყველა ბევრი მოღვიდა... იგი საცოფე ძალი რომ არ გაედგეს, რაცხას მოახერხებდა კაცი... ბო... მეტი ხაშველი არაა... შევიჩვევ... ჩემ არჩივ ქადს ვაქმევე იმ დასახრხოებელს... კი ასე, ასე, მერე იბტუნის რამდენიე უნდა! — დაასვენა სიკოიამ, მინარე პაემევი ჩათვალე რა საერთო ღოგინზე და თვითონაც დაწვა უმცროსი გვერდით.



გახილდა საქორწილო სამზადისი. ქაიხოსროს წინადადებით მეზობლებმა გადაწყვიტეს სეფა არ გაეყვებიხათ. ამის სანიკლოდ ხალი ეყიდათ და სიკოიას სამზადი სახლი გადაეტურათ, ამით მასპინძელი ორ საქმეს აკეთებდა: ახლაც შეიფარებდა სტუმრებს გაწვიმეშია შემთხვევაში და შემდეგაც ოჯახს დახურული სახლი დარჩებოდა.

ქორწილის დღე მოახლოვდა. ყველა მიჩნეული ჰქონდა სამსახურის უბანი. სიკოია არაფერს კითხულობდა, არც ვინმეს ეხმარებოდა, არც რაზე დაეალებას იძლეოდა. დადიოდა თავიათვის ჩაფიქრებულა, მოწყენილი და სკამოდ აღელვებულა.

ქორწილის წინა დღით სიკოიამ იხმო უფროსი ქალიშვილი და დაავალა საღვინე გუდა, დიდი ბოთლები და ოთხი-ხუთი კოკა შეეკრიბა მეზობლებში, მიეტანა ქაიხოსროს მარანში და ამის შესახებ არაფისთვის არაფერი ეთქვა.

პარასკევს, როცა კარგად დაღამდა და სამსახურით დაღლილი მეზობლები დასაძინებლად წავიდნ-წამოვიდნენ, მასპინძელმა მონათხოვი ქურჭელი დააღაგა თავის ეზოში სახლის უკან. მერე ფრთხილად გადიბარა ყარამანის მარანში, ჯერ ძალი მოქრამა, მერე ათფუთიანი ქური მოხადა, ნაშუალაჩევამდე იშრიმა, ქურჭელი აავსო, თავისი სახლის ახორში დააღაგა და თხმელის ქვერით გულდაგულ დაფარა. გაოფლიანებული, წელმოწყვეტილი კაცი ტახთაფხსდელი მიწვა. მაგრამ ერთი წაძინების შემდეგ, ალიოხზე ისევ ადგა და ეზოს ლაგება დაუწყო. ამდენი ჯაფა, უძილობა და ოფლი არასოდეს

ჰქონია სიკოიას, ახლა მთელი დღე ახორთან ფუსფუსებდა და ნაქვრდალ საქორწილო ღვინოს დარაჯობდა.

სილამოხანს ნაყრებმა დაიწყეს წისასგლეღად მზადება. ყარამანმა თავისი ძველი ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი, ბოხოხი და დაკვრებული აზიური წაღები მოეტანა უმცროს ძმას სანათხოვროდ. სიკოიამ სასინჯავად ჩაიკვა თითქოს პირველად თავის ცხოვრებაში, და კმაყოფილი დარჩა, რომ უველაფერი მოერგო, მაგრამ საბოლოოდ ჩაცმას არ ჩქარობდა.

სიკოიას წინასწარ გადაეწყვიტა (ეგვიტოს რჩევით): რომ პატარძლის მოსაყვანად თვითონ არ წასულიყო. ყარამანი, როგორც უფროსი ძმა, შამის მაგიერი, წაიყვანდა მაყრებს, იქ იქორწილებდა. პატარძალს ეკლესიაზე მაყრები მიიყვანდნენ ჯვარის დასაწერად, ხოლო სიკოია სახლიდან მარტო წავიდოდა, ეკლესიაზე დახედებოდა. ასეთი წესიც არსებობდა მაშინ სოფელში და ეს არაეის გაუკვირდებოდა.

დაღამდა, მაყრებმა წიბნემსეს არაყითა და საჭაბურებიც, ღლონტებმა ღვინის დასაღება იციანო და აქ აღარ დააღვეინეს. მერე კი პატარძლის წამოსაყვანად წავიდნენ.

ღლონტებმა იუცხოვეს მაყრების ქეითად მისულა. აფრასიონმა დაიმარტოვა ვარდოფინე: — შენ რაფერ მოგწონს ეს? მაყარი მე ცხენით გამიგონია.

ვარდოფინემ ნუფის მხარე დაიჭირა: — შენ დიდხანია აღარ გინახავს ჩვენებური ქორწილი, თეარა რა უჭირს ამ ორ ნაბიჯზე?

— აბა, თუ სირცხვილი არაა, მე ფუხით მიჩნენია. — უთბრა აფრასიონმა და სტუმრებთან გავიდა.

მალე გაჩაღდა წაყვანის ქორწილი.

პირველ თამადად იქროპირ ღლონტი დადგა. ახოვანი,

სისხლ-ხორციით სავსე ვაყვაცი, შიგარი მსმელი, მომლსენი და მართლაც ოკროპირი-მეტყველი.

თამადამ ყანწი მოითხოვა. მერიქიფეებმა ოთხივე თამადას შიართვეს თითო ყანწი. ოკროპირმა ორიოდღე ლუკმა გადაუღაპა, ყანწი აავსო და წამოდგა. სეფაში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩემო ახლო მოყვრებო, ბატონო მაყრებო და წვეულეებო, პატივცემულო მანდილოსნებო და ვაჯაცებო, სტუმრებო და მასპინძლებო! აქვენი დავალებით და იელშეწყობით მიიღი შევასრულო თამადას მძიმე მოვალეობა — უპატივცემულო და უღღეგრძელებელი არავინ დარჩეს. მოგვსენებათ, პირველი სამი სასმისი ყველასათვის სავალდებულოა ჩვენი ჩვეულების მიხედვით. დანარჩენი თქვენი ნებაა, მერიქიფეებო, სასმისები დროულად აავსეთ, მაყრებს არ მომიწყუროთ. ასევე წვეულებს დროზე მიაწოდეთ სასმისები. დრო ცოტა გვაქვს, მოვალეობა — დიდი. ვეცადოთ, ეს დრო გამოვიყენოთ მოვალეობის შესასრულებლად. მერიქიფეებო! პირველი სამი სასმისის შემდეგ ღვინო არავის დაასალოთ!

ყარამანმა ქაიხოსროს გადაუჩუროჩულა: — ცოცხალი ვერ გავალო. სამი ყანწის შემდეგ დაძალება რად უნდა, თავისით მოითხოვეს!

— პატივცემულო მექორწილენო! — თამადამ თვალი მოაულო სეფას. — ამ პატარა სასმისით მიხდა ვალდებულებული დღევანდელი ზეფე დედოფალი და მათი ბედნიერება. ჩვენი ვარდოფინე, ჩვენი დედოფალი მართლაც თამარ დედოფლის სადარბა. ყველა აქ მყოფს მოეხსენება, რომ ეს ოჯახი ძირითადად მისი შრომით, პატიოსანი შრომითაა აგებული. უფროს ძმას აფრასიონს მშობლების მაგიერობას უწევდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალ ოჯახს, რომელშიაც იგი დღეიდან



იცხოვრებს თავის საყვარელ მეუღლესთან, ისევ მოუვლის და აყვავებს, როგორც ეს ოჯახში. ბატონი ნუფე გასაგები მაზუზების გამო აქ არ იმყოფება, მაგრამ ყველა ჩვენგანი უარგად იცნობს მას. მართალია, ერთი ხელმოკლე გლეხია, მაგრამ უაღრესად პატიოსანი და შრომისმოყვარე. ბედნიერი იყოს ქალბატონი ვარდოფინესა და ბატონი სიკოს შეუღლება. და, მით შეუღლებას მოჰყოლოდეს თორმეტი ვაჟი და უსასრულო სიხარული!

და სწამ თამადები ყანწებს დაეღიძნენ, მრავალჯამიერი არ შეწყვეტილა.

თქრობიძმა ყანწი ცერის ფრხხილზე დააწერა და ყარამანს გაუგზავნა.

მეორე ყანწით ნუფე დედოფლის მშობლებს სიდეკარდელს და შესანდობარს დაიღეს და აქა-იქ უკვე ხმამაღალი დაპარაკი დაიწყო.

თამადამ მეჭვარეები მოიკითხა — დედოფლის მხრიდან უფუფე ღლონტია. ნუფის მხრიდან? გვაბუქეთ მისი სახელი!

მეხი დიეცა ყარამანს, დივალეზული ჰქონდა რამეხაირად ქაიხოსროს გაეძვრინა, მაგრამ როგორ? იგი შეიშნუნა და ქაიხოსროს დაადგა თვალს:

— თავი მომჭრა სიკოიამ, რა ექნათ ახლა? ისევ შენ უნდა გვაშველო... დროებით... მე სულ გამომრჩა...

ქაიხოსრო შეწუხდა, მხრები აიხეჩა. მაგრამ როცა თამადამ შესამედ მოითხოვა მეჭვარე, ყარამანი წამოდგა, ბოდიში მოიხადა და ივრგვინა:

— ბატონი ქაიხოსრო კვერჩხელიძე! — და ისე შეხედა ქაიხოსროს, რომ სიტყვის უნარიც წაართვა: „სხვა გზა არ არის!“

და თამაღამ აღდგარძელა ფუღუ და ქაიხოსრო.

შოთაედა „საეღღებულო“ სასმიეგბი, მაგრამ მაყრება არ ცხრებოდნენ და აღავერდებს ეჭობრებოდნენ.

ბოდოს როგორც იესო, ყარამანმა და ქაიხოსრომ იეიე-კაცეს, მაყრები ძალით აავლიჯეს სუფრას და მაყრონი დი-ძრა ეკლესიისაკენ.

მაყრული და თოდის სროლა ერთმანეთში აირია. ნათ-ხოვარ ტანსაცმელში გამოწყობილი სასიძო ეკლესიისაკენ გაუყვა. მან რამდენიმე წუთით შიასწრო გალავანთან და შესა-სვლელში დადგა პატარძლის შოლოდინში. დელაედა სასიძო, ნერვიულობდა.

სიკოიამ ვერ ხომ არ იცოდა, როგორ წარმატებით შეს-რულა ყარამანმა უმცროსი ძმისა და ნეფის დავალება მეჭვარ-ის შესახებ.

მაყრები რომ დღონტებისაკენ გაიჭუმრა, სიკოია ქაი-ხოსროს სახლში მივიდა: დიასახლისს ვერანაწერო სანთელი სობოვა „ქაიხოსრომ გამოგზავნათ“, და წამოიღო. შინ თავი-სი ერთი სანთელიც დაუმატა, თავები მოუწმინდა, ძველი „დედა ენის“ ანობეულ ფურცელში შეახვია და ჩოხის ჯიბეში ჩაიღო.

ფიქრებით დატვირთული სიკოია მაყრებს ეკლესიის გა-ლავნის კიშკართან დახვდა. ნეფე-დედოფალი ეკლესიაში შეი-ყვანეს. მღვდელთან მიიყვანა სიკოიამ შეზარხოშებული ქაიხო-სრო და ახლოს დააყენა — ნუ მომცილდებიო.

— მეჭვარე მზად გყავს? — იკითხა მღვდელმა.

— კი, მანათ. — უბასუხა მან და გაოგნებულ ქაიხოსროს შეხვეული სახთლები ხელში შეაჩერა.

— აბა, ნეფე-დედოფალი, დადექით! მეცვარე აქეთ...  
უკან მოუდექი!

ქაიხოსრომ სანთლებს ქალღმერთს შემოაჩრა და მუხლები  
მოეკვეთა. პირი დააღო და სიტყვის ებნა დაიწყო...

— მამაო, ბოდიში, დიდი ბოდიში, მე... დროებით...

— რას ბოდიშობ, შვილო, ფული არ წამოგიღია თუ?

— დიან, ბოდიში, მე დროებით... და ბოდიში...

— კაი შე კაცო, გეხდობი. ისე წამოღება კი ჯობდა.  
დროს ხუ კარგავ, ხალხი იცდის, — და მღვდელმა ნეფე-დე-  
დოფალს უკან მოუყენა აფორიაქებული ქაიხოსრო.

ქაიხოსრომ ოფლით დაცვარული შუბლი ახელთი მით  
წმინდა, სანთლები დაათვალიერა და დიაკვნს გადასცა. ხო-  
ლო მერე, ანთებული სანთლები რომ ნეფე-დედოფალს გადა-  
სცეს, ისე ამოიბზენნა, რომ დედოფალმა შიშით მოიხედა  
უკან...

ჯვარისწერა დამთავრდა. ნეფე-დედოფალს მიულოცეს.

მღვდელმა და დიაკვნამა ეკლესია დაკეტეს. მყარიონი  
სიმღერით ნეფისას გაეშართა. წვეულებიც საქორწილო ვაბ-  
შამზე წავიდნენ.

## თამადა და საღვთობა

მყარებმა და წვეულებმა სუფრაზე ადგილები დაიკავეს.  
ბურმარილი კარგად გამოიხურებოდა. მერიქიფე ბიჭები სა-  
ვსე დოქებით დამდგარიყვნენ და გულში გეგმავდნენ — ვის-  
თვის როდის გადაეცათ სისმისები, თეთრი ქათქათა წინსაფ-  
რებით დამშვენებული ქალიშვილები პეპლებივით დასრიალ-  
ბდნენ სუფრაზე — არავის არაფერი აკლდესო.



— თამადის არჩევის დროა. — წახურჩულა ძმას ყარამანმა,

— ჰოდა, პირველი თანადა შენ იქნები. — პირდაპირ უბოდიშოდ უთხრა სიკოიამ.

— შე კაცო, ომდები იქ დავლიე, გხაში დავილაღე, ერთი კვირეა მუხლად არ მომიკაკვავს და ახლა თამადობაც? ადრე მაინც გეტქვა, თავს შემოუინახავდი.

— შენითაც უნდა გცოდნობდა, ჩემო ძმით... აბა ნეტვარეს ზომ ვერ დავავალე!

— ღვინო მაინც გასაინჯე... ვნახო, რაფერი დასაღვეია.

— ბატონო, ღვინოს ვეღარ დამიწუნებ... გურიელს ნიერთანევა. — სუფრაზე ნოთლს ხელი დასტაცა სიკოიამ, ღვინო სიამოვნებით ჩაასხა ჭინაში, თყალი ჩაუკრა და ძმას მიაწოდა.

— აგი მთლად ჩენ ღვინოს ჰგავს ფერიითაც და გემოთაც... ჩანი გავარდეს! — ნხარულად თქვა ყარამანმა.

— კიდევ უკეთესი. შენა ღვინოს ზომ შეჩვეული ხარ და აღარ გაგიჭირდება, უფრო დაღვე...

ყარამანმა სიტყვა შეაწყვეტინა ძმას, თავისუფალ სკამს ხელი დასტაცა, სტუმარ მაყრებთან სუფრის თავში დაიდგა და დაჯდა.

ახლო მეზობელმა პირველ თამადად „იგივე მსმინაშელი“ ყარამანის დასახელა, სამი კაციც დაუმატა და მათი სადღეგრძელო ჩაის ჭიქა დასცალა.

— ნედეს სთხოვეთ სუფრაზე. — ხმამაღლა წარმოსთქვა თამადამ. — შართალია, ნება ნივეციით არ დამჭდარიყო, მაგრამ პირველ სამ სადღეგრძელოზე ვერ გავათავისუფლებთ.

მერე აღება და ისევ თავის საქმეს მიბედავს — ხელმართო  
კაცია.

სიკო იმავე წებობელმა, თამაღები რომ დაასახელა, მიი-  
ყვანა დედოფლის გვერდით და ახიშნა განკუთვნილ სკამზე  
ღანჯღარიყო. ისიც დაჯდა.

ყიწუები ხელიდან ხელში გადადიოდა. მერკიფეები  
სრული დატვირთვით მუშაობდნენ, ნოსული და დამხვდური  
მაყრები ერთმანეთს ღვინოშიც და სიმღერა-მოდუნაშიც უჭი-  
ბრებოდნენ.

წვე-დედოფლის სადღეგრძელო მოთაედა. ჯერი მიდგა  
წვეზე. სამადლობელი უნდა თქვათ.

— წვეს ყანწი მიართვით... ყანწი! — გაისმა აქეთ-იქე-  
დან.

სიკოის საგსე ყანწი მიაწოდეს. დუმილი ჩამოვარდა:  
რას იტყვისო სიყ! სიკოია ადგა, თითქოს ჩამოხრჩობალი  
ეკადა თოკზე. გრძელ კისერზე ჩამოცმული თავი დიხარა და  
ყანწში ყანჩასავით იყურებოდა.

— აბა, სნეჩა იყოს! — ყარამანში გასამზნევეზლად შეი-  
ძანა. ხმაური შეწყდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. — სა-  
მადლობელს მიიღებს ბატონი წვე.

სიკოიამ დაბალ ხმაზე დაიწყო:

— ზემე უბედურა ცოლი... არა, ამას მერე ვიტყვი... ჩე-  
მი ახალი ცოლი ადღეგრძელოს ღმერთმა... ჩემი უბედური  
ცოლი, ჩემი პირველი ცოლი, მარა იმას მერე ვიტყვი... ამას-  
თან მე მადლობელი ვარ, რომ მადლინძელეთ და ახალი ცო-  
ლი ასე ადღინძელეთ... ჩემი უბედური ცოლი, პირველი ცო-  
ლი რომ არ მომკვდარიყო, ახლა იგივე ცოცხალი იქნებოდა.

კი, მამა ნუ წამიწყდება, იგიც ცოცხალი იქნებოდა... მარა  
ორი ცოლი ხომ რათ მიწოდდა...

ნეტეს ხმა გაუწყდა, მეტი ვერაფერი თქვა, ნეტავ, არც  
ეს ეთქვა!

ქალები სახეზე ხელს იფარებდნენ, ყარამანი გონწასუ-  
ლივით გადითრებული იდგა ფეხზე. ქაინოსრო მოშვებულ  
წვერს იწიწკნიდა. მოსული მაყრები თვალს და ყურს არ  
უჯერებდნენ.

სივლიამ ყანწი დასცალა, მერიქიფეს გადასცა და ისევ  
ფეხზე იდგა. დედოფალი ცოცხალ-შეცდარი განაბულიყო და  
ჭრელი ცხვირსაბოცი შესცავებოდა შუბლზე შემოდგმულ  
ხელში.

ყარამანში, როცა გონი მოიკრიფა, სწრაფად შეათვამა  
მდგომარეობა. დედოფლის ძმას სატევიარზე ეკიდა ხელი და  
აფეთქებდა აღარაფერი უკლდა. მოსული მაყრებიდან ორ ახა-  
ლგაზრდას კაცის ფერი აღარ ედო და სხვეებს უყურებდნენ  
-- რას იტყვიანო.

პირველი თამადა წელში გასწორდა, მაყრებს თვალი მოა-  
ვლო და ძმას მიუბრუნდა:

— შენ ნეტე რომ ხარ, იმიზე ყველაფერს კი არ მოგიოთ-  
მენენ... ხომ გითხარი, ნეტესათვის სავალდებულო არ არის  
სხვებივით სეაა-მეთქი... შენ კი ერთი ბოთლი ღვინის გასინ-  
ჯვაზე დალიე, მეორე მიაყოლე მალაზე მომიყვანსო და... ბო-  
დიში მოყვრებო, თქვენთან... მეტი აღარ დალიო, გაფროთი-  
ლებ, თვარა!

სუფრამ ამოისუნთქა, მოცოცხლდა. ჩურჩული და გადა-  
ლაპარაკებაც მალე შეწყდა. შთაბეჭდილების საბოლოოდ  
გამოსასწორებლად ნაადრევი საცეკვაო გაჩაღდა. ვილაცამ



შეიძახა ნეფე-დედოფალს ვახოვითო... მაგრამ ჩაბრუნეს და დატუქსეს — ზოგმა იტყვიო, ზოგმაც თვალით და ქორწილი გრძელდებოდა.

მშობლების სადღევგრძელოზე სიტყვა არ მისცეს ნეფეს. მაგრამ როცა მეყვირე ადღევგრძელეს და სამადლობელისათვის სასმისი წაიხოსროს ვადისცეს, სიკოიამ ვეღარ მათითძინა და ძმასთან მიუტოვა:

— ბავო, შენა რომაა, ეველია შენ ენდა დალიო? მომეცე ყახწი!

ღარამანს არაფროს თქმა არ შეეძლო. ნეფე სასმასს თხოულობს და უარის თქმაც არ ეწყობა, მაგრამ ისეც ურევს და ნერვ რას იტყვის ეშპაკმა იცის, ბრაზით და ღვიბათ ვაბრუნებელი თანადა ფეხზე იდგა და ფაქრობდა, როგორც მოქცეულიყო.

მაგრამ ფაქროც არ იყო საჭირო, სიკოიას სივსე ყახწი ეჭირა ხელში.

